
განსახილველი პროექტი

*მსს ფასს სტანდარტის მესამე
გამოცემა*

დღის წესრიგი

ძირითადი ინფორმაცია - განსახილველი მიზანი, მოქმედების სფერო და საფუძვლები


განსახილველ პროექტში წარმოდგენილი ძირითადი შემოთავაზებები

სხვა თემები, რომლებზეც ბასსს ცდილობს უკუკავშირის მიღებას

კითხვები

ძირითადი ინფორმაცია

*განსახილველი მიზანი,
მოქმედების სფერო და
სტრუქტურული საფუძვლები*



ვადები

პირველი გამოცემა	2009	<i>მსს ფასს სტანდარტი გამოქვეყნდა და დაუყოვნებლივ ამოქმედდა</i>	
მეორე გამოცემა	2015	ცვლილებები პირველი მიმოხილვის გამოცემიდან	2017 პირველი მიმოხილვის შემდგომი ცვლილებების ამოქმედება
მესამე გამოცემა	2020	ინფორმაციის მოთხოვნა მეორე გამოქვეყნებულ მიმოხილვასთან დაკავშირებით	2022 მეორე მიმოხილვიდან შემოთავაზებული ცვლილებების გამოქვეყნება
	2024	მეორე მიმოხილვიდან მოსალოდნელი გამოსაქვეყნებელი ცვლილებები	2026 მეორე მიმოხილვის შემდგომ ასამოქმედებელი ცვლილებები



დაახლოებით 80 ქვეყანა ითხოვს და უშვებს მსს ფასს სტანდარტის გამოყენებას

პროექტის მიზანი

მსს ფასს სტანდარტის განახლება სრულ ფასს-ში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად (მეორე ყოვლისმომცველი მიმოხილვის ფარგლებში) სტანდარტის სიმარტივის შენარჩუნების პარალელურად

მიდგომა

მოსაზრებების ძიება ინფორმაციის მოთხოვნის მეშვეობით, რომელიც 2020 წლის იანვარში გამოქვეყნდა


სტრუქტურული საფუძვლების გამოყენება გადაწყვეტილების მისაღებად, კერძოდ, როგორ და როდის უნდა შეიცვალოს სტანდარტი

სტრუქტურული საფუძვლების გამოყენება უკუკავშირის გათვალისწინებით და სტანდარტის გაუმჯობესების შეთავაზება განსახილველი პროექტის გამოქვეყნებით

მიმოხილვის მასშტაბი

მოქმედების სფერო	<p>A სრული ფასს სტანდარტების მოთხოვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პირველი მიმოხილვის შემდეგ; და ▪ პირველ მიმოხილვამდე, რასაც არ მოჰყოლია სტანდარტის ცვლილება 2015 წელს 		
	<p>B სხვა თემები, რომლებზეც ბასსს-მა ყურადღება გაამახვილა სტანდარტთან დაკავშირებით</p>		
მოცემულ ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	კონცეპტუალური საფუძვლები	ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასება	მცირე ცვლილებები ფასს აღრიცხვის სტანდარტებში და ფასიკ ინტერპრეტაციებში
	ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება	ფასს 14 გადავადებული სატარიფო ანგარიშები	
	ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები	ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	
	ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები		
	ფასს 11 ერთობლივი საქმიანობა	ფასს 16 იჯარა	

მეორე
ყოვლისმომცველი
მიმოხილვის
საფუძვლები



განსახილველ პროექტში წარმოდგენილი
ძირითადი შემოთავაზებები



კონცეფციები და ძირითადი პრინციპები



ასახავს გაუმჯობესებას 2018 წლის *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან*

ბასსს-ის შემოთავაზებები

- ახალი კონცეფციების შემოღება შეფასების, წარდგენის, გამჟღავნებისა და აღიარების შეწყვეტის შესახებ
- განახლებული განმარტებები და აღიარების კრიტერიუმები აქტივებისა და ვალდებულებებისთვის
- წინდახედულობის, მართვისუნარიანობის, შეფასების გაურკვევლობის და შინაარსის ფორმაზე აღმატებულების კონცეფციების დაზუსტება
- ძირითადი პრინციპის დამატება სხვა თავების მოთხოვნების უპირატესობის შესახებ მე-2 თავთან შედარებით
- "მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის" კონცეფციის შენარჩუნება

კონცეფციები და ძირითადი პრინციპები

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- გაუმჯობესებები მცირე და საშუალო საწარმოებს საადრიცხვო პოლიტიკის შემუშავების პროცესში დაეხმარება, მაშინ როცა სტანდარტი არ განსაზღვრავს კონკრეტულ მოთხოვნებს
- "მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის" კონცეფციის შენარჩუნება ბასსს-ს საშუალებას აძლევს გააგრძელოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მდგომარეობის შემსუბუქება გარკვეულ გარემოებებში

შედეგი მომხმარებლებისთვის


- ზრდის ინფორმაციის მოცულობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებში - აღნიშნულს შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლების მხრიდან ინფორმაციის აღქმა



რა გვსურს ვიცოდეთ ...

- კომენტარები ან შეთავაზებები გადასინჯულ მე-2 თავთან დაკავშირებით?
- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ მე-18 და 21-ე თავებში ისევ გამოყენებული იყოს აქტივების და ვალდებულებების განმარტებები მე-2 თავიდან (1989 წლის სტრუქტურული საფუძვლების მიხედვით)?

საწარმოთა გაერთიანება



ფასს 3 საწარმოთა გაერთიანება

ბასსს-ის შემოთავაზებები

- საწარმოს განმარტებების განახლება მითითებების და საილუსტრაციო მაგალითების ჩათვლით
- მოითხოვს შექმნის მეთოდს, რომელიც მოიცავს მოთხოვნების განსაზღვრას ეტაპობრივი შექმნის პროცესისთვის და მოითხოვს პირობითი კომპენსაციის აღიარებას რეალური ღირებულებით
- შექმნის მეთოდის გამარტივება, მათ შორის ალტერნატივის შემოუღებლობა არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულებით შეფასებისას

საწარმოთა გაერთიანება

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- მკაფიო და შედარებით მარტივი განმარტება დაეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს გადაწყვეტილების მიღებაში თუ როდის გამოიყენოს მე-19 თავი
- მოთხოვნების განსაზღვრა ეტაპობრივ შექმნასთან დაკავშირებით გამორიცხავს საჭიროებას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით



რა გვსურს ვიცოდეთ ...

- ეთანხმებით თუ არა წინადადებას შემოღებულ იქნეს მოთხოვნები ეტაპობრივი შექმნის აღსარიცხად?
- ეთანხმებით თუ არა, რომ რეალური ღირებულებით არამაკონტროლებელი წილის შეფასების ალტერნატივის შემოუღებლობა სათანადოდ ამარტივებს მოცემულობას?

შედეგი მომხმარებლებისთვის

- გაუმჯობესებული თანმიმდევრულობა იმასთან დაკავშირებით თუ რა არის საწარმოთა გაერთიანება
- მრავალფეროვნების შემცირება თუ როგორ აღრიცხავენ მცირე და საშუალო საწარმოები ეტაპობრივ შექმნას
- გაზრდილი ინფორმაციის მოცულობა თავდაპირველი ინვესტიციის და საწარმოთა გაერთიანების საქმიანობის შესაფასებლად

ფინანსური ინსტრუმენტები



ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები - გარკვეული ასპექტების გაუმჯობესება

ბასსს-ის შემოთავაზებები

- ამოღებულ იქნეს ბასს 39 -ის აღიარების და შეფასების მოთხოვნები
- შემოღებულ იქნეს:
 - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი გარკვეული ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის
 - კლასიფიკაციის და შეფასების პრინციპი
 - ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ახალი მოთხოვნები
- გაწეული ზარალის მოდელის შენარჩუნება დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის

ფინანსური ინსტრუმენტები

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- აღიარების და შეფასების გამარტივებული მოთხოვნები ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რადგან ასეთი ხელშეკრულებები ამჟამად ფასდება რეალური ღირებულებით
- არ არის ცვლილებები გათვალისწინებული მარტივი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების მქონე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის




რა გვსურს ვიცოდეთ ...

- ეთანხმებით თუ არა წინადადებას, რომ შემოღებულ იქნეს მოსალოდნელი საკრედიტო მოდელი მხოლოდ ზოგიერთი ფინანსური აქტივისთვის?
- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ აღნიშნული შემოთავზება იცავს სწორ ბალანსს იმ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რომელი ფინანსური აქტივი უნდა იქნეს აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის თანახმად?

შედეგი მომხმარებლებისთვის

- გაზრდილი შესადარისობა ბასს 39 -ის გამოყენების ალტერნატივის ამოღებით
- უკეთესი ინფორმაცია გაუფასურების ზარალის ადრეული აღიარებიდან ზოგიერთი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის

კონსოლიდაციის პაკეტი



ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები და
ფასს 11 ერთობლივი საქმიანობა - ზოგიერთი გაუმჯობესებული ასპექტი

ბასსს-ის შემოთავაზებები

- კონტროლის განმარტების განახლება და მისი შესაბამისობა ფასს 10-თან.
- უარყოფადი ვარაუდის შენარჩუნება, რომ საწარმო აკონტროლებს სუბიექტს, თუ ფლობს სუბიექტის ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას
- ახალი მოთხოვნების დამატება ნაწილობრივი გასხვისებისთვის, რასაც მოჰყვება კონტროლის დაკარგვა - საწარმო შეაფასებს შენარჩუნებულ წილს რეალური ღირებულებით, როცა კონტროლი დაკარგულია
- ერთობლივი კონტროლის განსაზღვრების განახლება ფასს 11 -ის შესაბამისად
- ერთობლივი საქმიანობის კლასიფიკაციის შენარჩუნება

კონსოლიდაციის პაკეტი

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- ინვესტირებული კომპანიის კონტროლის შეფასების ერთიანი საფუძველი
- ერთობლივი კონტროლის პრინციპი შესაბამისობაშია კონტროლის განახლებულ განმარტებასთან

შედეგი მომხმარებლებისთვის

- გაზრდილი შესაძარისობა, სარგებელი და ინფორმაციის თანმიმდევრულობა შემოთავაზებული ერთიანი საფუძველიდან კონსოლიდაციისთვის



რა გვსურს ვიცოდეთ ...

- ეთანხმებით თუ არა ბასსს-ის წინადადებას, რომ შეინარჩუნოს უარყოფადი ვარაუდი, როგორც კონტროლის გამარტივების განმარტება?
-

რეალური ღირებულების შეფასება



ფასს13 რეალური ღირებულების შეფასება - ზოგიერთი გაუმჯობესებული ასპექტი

ბასსს-ის შემოთავაზებები

- რეალური ღირებულების განმარტების განახლება
- საფუძვლების განახლება სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც ასევე მოიცავს მცირე და საშუალო ბისნესთან დაკავშირებულ მაგალითებს
- ინფორმაციის გამჟღავნების გაუმჯობესებული მოთხოვნა რეალური ღირებულების შეფასების შესახებ



სტანდარტში შეტანილია ახალი თავი რეალური ღირებულების შეფასების შესახებ

რეალური ღირებულების შეფასება

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- არ შეხებია ცვლილებები იმას, თუ როდის შეუძლია ან მოეთხოვება საწარმოს მუხლის რეალური ღირებულებით შეფასება
- მკაფიო მითითება თუ როგორ შეფასდეს რეალური ღირებულება

შედეგი მომხმარებლებისთვის

- ინფორმაციის გაუმჯობესებული გამჟღავნება რეალური ღირებულების შესახებ
- გაუმჯობესებული შესადარისობა სუბიექტების მასშტაბით



რა გვსურს ვიცოდეთ ...

- კომენტარები ან მოსაზრებები რეალური ღირებულების შეფასების ახალი თავის შესახებ
-

ამონაგები



ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - ზოგიერთი გაუმჯობესებული ასპექტი

ბასსს-ის შემოთავაზებები

- საფუძვლების შემუშავება ამონაგების ასალიარებლად საქონლისა და მომსახურებისთვის, რომელიც მოითხოვს ამონაგების აღიარებას მაშინ, როცა მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე, ფასს 15-ის ხუთსაფეხურიანი მოდელის საფუძველზე
- ფასს 15-ის მოთხოვნების გამარტივება, რომ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის იოლი იყოს ხუთსაფეხურიანი მოდელის გამოყენება
- გარდამავალი ეტაპის უზრუნველყოფა, რომ საწარმოს საშუალება ჰქონდეს გამოიყენოს ამონაგების აღიარების მიმდინარე პოლიტიკა განხორციელების პროცესში არსებული ხელშეკრულებების მიმართ

ამონაგები

შედეგი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის

- ყოვლისმომცველი საფუძვლები იმის განსასაზღვრად თუ როდის და რა ოდენობის ამონაგები იქნეს აღიარებული საქონელთან და მომსახურებასთან დაკავშირებით
- უმეტესი ხელშეკრულებისთვის გადასინჯული 23-ე თავი არ იქონიებს ან მცირე გავლენას მოახდენს აღიარების ოდენობაზე და დროზე




- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ გადასინჯული 23-ე თავი შესაფერისი იქნება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებისთვის? თუ არა, როგორ ცვლილებებს შემოგვთავაზებთ და რატომ?
- ბასსს-ის შემოთავაზებაა მითითებების გამარტივება ფასს 15-ის 27-29 პუნქტებთან დაკავშირებით. მიგაჩნიათ თუ არა რომ მითითებები შესაფერისი და ადეკვატურია სუბიექტებისთვის, რომლებიც სტანდარტს იყენებენ?

შედეგი მომხმარებლებისთვის

- აღრიცხული ამონაგების გაუმჯობესებული თანმიმდევრულობა ეკონომიკურად მსგავსი ოპერაციებისთვის
- გაუმჯობესებული შესადარისობა სუბიექტების მასშტაბით
- ინფორმაციის გამჭვირვების გაუმჯობესება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამონაგების და ფულადი ნაკადების თანხის, დროის და განუსაზღვრელობის გარკვევის ხელშესაწყობად

სხვა თემები, რომლებზეც ბასსს
მოელის უკუკავშირის მიღებას



დასაქმებულთა გასამრჯელოების შესახებ 28.19 პუნქტის ამოღება

ბასსს-ის შემოთავაზებაა 28.19 პუნქტის ამოღება

რატომ?

- მიღებული უკუკავშირის შედეგად განსაზღვრულია გამოწვევები 28.19 პუნქტის გამოყენებისას, რასაც მოჰყვება გამოყენების მრავალფეროვნება
- მიღებული უკუკავშირი ასევე იძლევა მტკიცებულებას, რომ 28.19 პუნქტს იყენებს სუბიექტების შეზღუდული რაოდენობა



რა გვსურს ვიცოდეთ...

- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დადგენილგადასახდელიანი პროგრამის ვალდებულებებისთვის შეფასების გამარტივების გამოყენება შეზღუდულია და ამგვარად ეთანხმებით ბასსს-ის წინადადებას 28.19 პუნქტის ამოღების შესახებ?
- თუ არ ეთანხმებით ბასსს-ის წინადადებას ამოღებულ იქნეს 28.19 პუნქტი, ეთანხმებით თუ არა ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც აზუსტებს 28.19 პუნქტს?

შესაბამობა IFRS 16-თან - იჯარა

ბასსს-მა გადაწყვიტა მსს ფასს სტანდარტი არ მოიყვანოს შესაბამისობაში ფასს 16-ის - იჯარა მოთხოვნებთან

რატომ?

- მცირე ბიზნესის ხარჯები და ძალისხმევა ფასს 16 -ის მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით შეიძლება არ იყოს გამართლებული (ფასს 16-ის სასიცოცხლო ციკლის ამ ეტაპზე)
- მიგნებები ფასს 16-ის განხორციელების შემდგომი მიმოხილვიდან და გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები შეიძლება იძლეოდეს დამატებით ინფორმაციას ხარჯების და სარგებლის შესახებ ფასს 16-თან მიმართებაში

რა გვსურს ვიცოდეთ...

ეთანხმებით თუ არა ბასსს-ის გადაწყვეტილებას განხილულ იქნეს სტანდარტის ცვლილება მის შესაბამისობაში მოსაყვანად ფასს 16-თან, სტანდარტის სამომავლო მიმოხილვის დროს?

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯები

ბასსს ცდილობს უკუკავშირის მიღებას იმასთან დაკავშირებით, დანერგოს თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკის ალტერნატივა, რომელიც იძლევა საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯებიდან არამატერიალური აქტივების აღიარების შესაძლებლობას

რატომ?


- მიღებული უკუკავშირი ყოვლისმომცველ მიმოხილვასთან დაკავშირებით გამარტივებას აყენებს ეჭვქვეშ, იქიდან გამომდინარე, რომ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯი, ხარჯების და სარგებლის ანალიზის გამო, აღიარებულ იქნეს როგორც ხარჯი
- SMEIG წევრები შეთანხმდნენ რომ აღიარების და შეფასების მოთხოვნები საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯებისთვის ექვემდებარება ბასს 38-ის კრიტერიუმებს




რა გვსურს ვიცოდეთ...

როგორია თქვენი აზრი სააღრიცხვო პოლიტიკის ისეთი ვარიანტის დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც იძლევა სტანდარტის გამოყენების შესაძლებლობას საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯებიდან გამომდინარე (რომლებიც აკმაყოფილებს ბასს 38 -ის 57 (ა)-(ვ) პუნქტებს) არამატერიალური აქტივების აღიარების მიმართ?

კითხვები?



მომდევნო ნაბიჯები



მიიღეთ მონაწილეობა ამ კონსულტაციაში

კომენტარების მიღება
გრძელდება 2023 წლის 7
მარტამდე



- საკონსულტაციო დოკუმენტებთან წვდომა :
- განსახილველი პროექტი
- დასკვნების საფუძველი
- მოკლე მიმოხილვა



დამატებითი ინფორმაციისთვის
ეწვიეთ პროექტის გვერდს -
[Second Comprehensive Review
of the IFRS for SMEs
Accounting Standard](#)

ან დაასკანერეთ
QR კოდი

გვითხარით რას ფიქრობთ:

- წარადგინეთ კომენტარი ვებგვერდზე:
<https://www.ifrs.org/projects/work-plan/2019-comprehensive-review-of-the-ifrs-for-smes-standard/exposure-draft-and-comment-letters/>
- გამომიგზავნეთ იმეილი: sme@ifrs.org

გმადლობთ ყურადღებისთვის !

პროექტთან და განსახილველ
პროექტთან დაკავშირებული
დეტალური ინფორმაციისთვის,
იხ. პროექტის გვერდი ფასს-ის
ვებგვერდზე



გამოგვევით ონლაინ

 [ifrs.org](https://www.ifrs.org)

 @IFRSFoundation

 IFRS Foundation

 International Accounting
Standards Board